

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №-----

ქ. ოზურგეთი

2018 წლის ---- აგვისტო

„მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების დასანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 1 აგვისტოს N42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-მუხლის მე-2 ნაწილის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 1 აგვისტოს N42 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge ვებგვერდი, 07/08/2018 სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250000.35.113.016362) და დადგენილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელი ახალსაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის განისაზღვროს:

ა) საკურორტო და რეკრეაციულ ზონებში:

ა.ა) სააგარაკო და ინდივიდუალური სახლებისათვის-5 ლარი;

ა.ბ) მრავალბინიანი სახლები, კომერციული დანიშნულების ობიექტები (სასტუმრო, სავაჭრო და გასართობი) -5 ლარი;

ა.გ) სამრეწველო ობიექტი-5 ლარი;

ა.დ) სამკურნალო-გამაჯანსაღებელი, სარეზილიტაციო პროფილის შენობა-ნაგებობებისათვის - 2.50 ლარი;

ბ) ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე - 4 ლარი;

გ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სხვა დანარჩენ ტერიტორიაზე:

გ.ა) კომერციული დანიშნულების ობიექტებისათვის-2,50 ლარი;

გ.ბ) ინდივიდუალური და სააგარაკო სახლებისათვის-2,50 ლარი;

დ) ობიექტის დემონტაჟი-2,50 ლარი;

ე) ხაზობრივი ნაგებობებზე თითოეული გრძივი მეტრისათვის:

ე.ა) II, III კატეგორიის ნაგებობებზე -1 ლარი;

ე.ბ) IV კატეგორიის ნაგებობებზე -0.50 ლარი;

ვ) ისეთი შენობა-ნაგებობის (გარდა ხაზობრივი ნაგებობისა) მშენებლობის შემთხვევაში, რომელსაც არ აქვს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობი:

ვ.ა) II კლასის ობიექტებისთვის - 50 ლარი;

ვ.ბ) III კლასის ობიექტებისთვის - 200 ლარი;

ვ.გ) IV კლასის ობიექტებისთვის - 400 ლარი;“

2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

განმარტებითი ბარათი

„მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების დასანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 1 აგვისტოს N42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

1. პროექტის წარმდგენი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია.

2. პროექტის ავტორი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი: თამაზ ლომჯარია - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსი;

3. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა) პროექტის მიღების მიზეზი და ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა.ა) პროექტის შემუშავების საფუძველია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტი, 61-მუხლის მე-2 ნაწილი, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-6 მუხლი , „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლი და ადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლის განაკვეთებს.

ა.ბ) „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების (13.06.2018წ.) გათვალისწინებით შემუშავებული იქნა წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტი.

ბ) პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

4. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

5. პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2018 წლის 15 სექტემბერი.